გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 12

2024 წლის 12 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/კ 418471059) 2023 წლის განვლილ პერიოდის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/კ 418471059) 2023 წლის განვლილ პერიოდის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს (ს/კ 418471059) 2023 წლის განვლილ პერიოდის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო
N(N)LE SPORTS DEVELOPMENT AND PROMOTION AGENCY OF GORI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **53-202336040**
თარიღი: **26/12/2023**

ადრესატი: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2023 წლის 12 დეკემბრის №21-21233459 წერილის პასუხად გიგზავნით, ა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის ფინანსურ ანგარიშს 25 დეკემბრის მდგომარეობით.

სააგენტოს 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 2736000 ლარს. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 313400 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1575740 ლარით, მივლინება 55000 ლარით, ოფისის ხარჯი 244910 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 113210 ლარით, სამედიცინო ხარჯები 2000 ლარით, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები 9000 ლარით, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 80150 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 70025 ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 3000 ლარით, სხვა ხარჯის (გასვლითი სპორტული ღონისძიებები) 245563 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა 24002 ლარით.

სააგენტოს 2023 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით საკასო ხარჯმა შეადგინა 2644138.81 ლარი, ამავე პერიოდის მუხლობრივად გაწეული ხარჯებია:

1. შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 310339 ლარი,
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1572869.88 ლარი,
3. მივლინება 51170.04 ლარით,
4. ოფისის ხარჯი 213813.43 ლარით,
5. წარმომადგენლობითი ხარჯი 105924.75 ლარით,
6. სამედიცინო ხარჯები 1224 ლარით,
7. რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები 3758.88 ლარით,
8. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 64428.65 ლარით,
9. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 69775.16 ლარით,
10. სოციალური უზრუნველყოფა 0 ლარით,

საქართველო, გორი, სტალინის ქ. N11 ტელ: 0(370) 27- 91-03, 27-47-06
ელ.ფოსტა : SPORTCENTRI@GMAIL.COM

11. სხვა ხარჯის (გასვლითი სპორტული ღონისძიებები) 226833.02 ლარით,

12. არაფინანსური აქტივების ზრდა 24002 ლარი.

გიორგი პურიჭამიაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი